

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2022 წლის „ ოქტომბერი, ქალაქი ბათუმი

„მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელი“-ს ფარგლებში გრანტის მიღებასა და
ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების, „მუნიციპალიტეტებისთვის გრანტის მიღებაზე ნებართვის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N1990 განკარგულებისა და ამავე განკარგულებაში ცვლილებების შესატანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2674 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გა ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) ფარგლებში გამოცხადებულ „მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელის“ კონკურსში 200 000 (ორასი ათასი) ევრომდე მოპოვებული გრანტის მიღებასა და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებაზე.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელი“-ს ფარგლებში გრანტის მიღებასა და ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ 2021 წლის დეკემბერში განაცხადი წარადგინა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამდივნოს UNDP-ს ინიციატივის “მერები ეკონომიკური ზრდისთვის” (M4EG) მეორე ფაზის ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მუნიციპალიტეტებისთვის გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელი“. საქართველოდან გამარჯვებულად გამოვლინდნენ ბათუმის და ქუთაისის მუნიციპალიტეტები.

გამარჯვებული მუნიციპალიტეტებისთვის გამოცდილი საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით მომზადდება ტრანსფორმაციის პორტფელი, რომელიც შეიმუშავებს მიდგომებს და კომპლექსურ მეთოდებს ქალაქის წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ. პროექტი გრძელდება 2-დან 3 წლამდე რამდენიმე ეტაპად, თითოეულ ეტაპზე მოხდება განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვა და შესაბამისი თანხის გადმოცემისა და განკარგვის თაობაზე საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება.

UNDP-ს ადგილობრივი და სტამბულის ოფისის წარმომადგენელთა, ასევე, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის (Cora foundation) ექსპერტთა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით ტრანსფორმაციის პორტფელის რამდენიმე მიმართულებას შორის შეირჩა „ბათუმი - ახალი სტარტაპ ეკოსისტემა საქართველოში“ და ამ მიმართულებით დაიწყო მუშაობა, განზრახვის, მიზნების, საწყისი ღონისძიებებისა და აქტივობების პრიორიტეტიზაციისა და შეიმუშავებისათვის, პარტნიორობების დასამყარებლად. ამ დროისათვის მიმდინარეობს მუშაობა ასევე, UNDP-სთან პირველ ეტაპზე გასაფორმებელი გრანტის გადმოცემის ხელშეკრულების მომზადებაზე.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის ძირითადი არსია „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მოპოვებული გრანტის მიღება, მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელის შემუშავებისა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა განხორციელების მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

დადებით გავლენას მოახდენს მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, საგრანტო თანხების შემოსვლის სახით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან
საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

პროექტის მომზადებისას, კონსულტაციები იქნა გავლილი ისეთ ორგანიზაციებთან და სტრუქტურებთან, როგორებიცაა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, UNDP, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამდივნო.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი

რუსუდან ჟოჟაძე